თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. თელავი 2020წლის 18 ივნისი

თავმჯდომარეობდა:კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავზერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ა. შათირიშვილი

2. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

   მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ მოხდა საპრივატიზებო ნუსხაში რიცხული, ქ.თელავში სადგურის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის აუდიტის მიერ შეფასება, საჭიროა მისი გეგმაში დამტკიცება.

ლევან ლილუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ლევან ლილუაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ განმარტა, რომ მოქალაქე მაკა ნაცვლიშვილი შემოვიდა განცხადებით მერიაში, რითაც ითხოვს საპრივატიზაციო ვადის გაგრძელებას და გამოხატა მზადყოფნა დაკისრებული ვალდებულების დაწყებაზე.

ვასილ არაბულმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

ვასილ არაბულის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი, ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი